

შეთანხმება N32070202/03/80-4

(სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ და შ.პ.ს. „თბილი სახლი“-ს შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებულ N32070202/03/80 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

NAT180004636

ქ.თბილისი

დეკემბერი, 2019 წელი.

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის ზვიად როსტომაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „თბილი სახლი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის მალხაზ კურტანიძის სახით, მხარეთა შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 სახელშეკრულება შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 02 დეკემბრის N1645579 წერილის გათვალისწინებით შევთანხმდით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 ხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს. „თბილი სახლი“ ახორციელებს ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის მშენებლობის სამუშაოებს საერთო ღირებულებით 4 272 794.87 ლარი, სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2019 წლის 15 დეკემბერი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 02 დეკემბრის N1645579 წერილით სააგენტოსში შემოსულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 02 დეკემბრის N04-02/129761 წერილი, რომლის შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულება წლების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად: 2018 წელი - 2 668 087,20 ლარი, 2019 წელი - 866 027.00 ლარი და 2020 წელი - 738 680.67 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მხარეთა შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 ხელშეკრულების დანართი ს03 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.
3. შეთანხმება შედგენილია სამი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს ხოლო ორი რჩება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ დირექტორის ზვიად როსტომაშვილი

შ.პ.ს. „თბილი სახლი“ დირექტორი მალხაზ კურტანიძე



(ხელმოწერა, ბეჭედი)

დანართი Nს03

ობიექტის დასახელება	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის მშენებლობის სამუშაოები	2,668,087.20	866,027.00	738680.67



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო  
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA



MES 6 19 01645579



02/12/2019

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო  
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს

თქვენი 2019 წლის 18 ნოემბრის N1565969 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქალაქ ვასკში პროფესიული კოლეჯის სამშენებლო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვის საკითხს, გიგზავნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 2 დეკემბრის N04-02/129761 (სამინისტროში რეგისტრირებულია 02/12/2019 N1643037) თანხმობის წერილს.

დანართი -1- ფურცელი,

ეკონომიკური დეპარტამენტი  
დეპარტამენტის უფროსი  
ტაბატაძე მარიამ

მ. უფროსი



საქართველოს  
ფინანსთა სამინისტრო  
Ministry of Finance  
of Georgia

N 04-02/129761  
02/12/2019



<https://edoc.mof.ge/public/#/>

129761-04-02-2-201912021400

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა  
და სპორტის სამინისტროს

თქვენი მიმდინარე წლის 25 ნოემბრის MES 8 19 01609427 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თანახმაა სსიპ -საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, ქალაქ კასპში პროფესიული კოლეჯის სამშენებლო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა განახორციელოს იმ შემთხვევაში, თუ 2018 წელს ათვისებული იქნა 2 668 088.0 ლარი, 2019 წელს გათვალისწინებულია 866 027.0 ლარი, ხოლო 2020 წელს გათვალისწინებული იქნება 738 682.0 ლარი (ჯამური ღირებულება 4 272 797.0 ლარი).

გიორგი კაკაურიძე

მინისტრის მოადგილე

